

saqarTvelos profesiuli
kavSirebis gaerTianeba

0177, Tbilisi, vaJa fSavelas gamziri 43
☎ +995 32 2382 995; faqsi: +995 232 388 197
el. fosta: gtuc@geo.net.ge



**GEORGIAN TRADE UNIONS
CONFEDERATION**

Vazha-Pshavela Ave. 43, 0177, Tbilisi, Georgia
☎ + 995 32 2382995; Fax: +995 32 2388197
E-mail: gtuc@geo.net.ge

№ 114/01-2

“24“ 06 2012 w.

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს

ბ–ნ გია ნაცვლიშვილს

ასლი: საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს

ბ–ნ ალექსანდრე ბიწაძეს

პატივცემულო ბატონო გია,

ღრმა შეშფოთებით შევიტყვეთ ლონდონის ოლიმპიური და პარაოლიმპიური (LOCOG) თამაშების საორგანიზაციო კომიტეტსა და კომპანია რიო ტინტოს შორის ურთიერთობის დამყარების და ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ორგანიზებაში ამ კომპანიის ჩართვის შესახებ. მსგავსი კომპანიის ჩართულობა მკვეთრ წინააღმდეგობაში მოდის ოლიმპიური თამაშების ღირებულებებსა და სულისკვეთებასთან, რადგანაც რიო ტინტო მოქმედებს ოლიმპიური მეგობრული ფასეულობების, სოლიდარობის და სამართლიანი თამაშის პრინციპების საწინააღმდეგოდ. ამაზე მეტყველებს ისიც, თუ როგორ ეპყრობა კომპანია თავის თანამშრომლებს, მათ ოჯახებს და საზოგადოებას.

გარდა იმისა, რომ რიო ტინტო არის ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების კორპორატიული სპონსორი, კომპანია ასევე არის ლონდონის თამაშების ოლიმპიური მედლებისათვის საჭირო ლითონების 99 პროცენტის მიმწოდებელი, ამგვარად, თავის საწარმოებში ქმედებითა და შრომითი ურთიერთობების სამარცხვინო პრაქტიკით ამ მედლებს ლაფს ასხამს. მედლებისათვის ოქრო მოიპოვება აშშ–ს იუტას შტატის რიო ტინტოს ერთ–ერთ მაღაროში.

რიო ტინტო ცდილობს საზოგადოებაში თაი წარმოაჩინოს, როგორც საინვესტიციო თანამეგობრობის პასუხისმგებელი და ეთიკური ნორმების პატივისცემელი კომპანია, რომელიც მდგრადი განვითარების პრინციპების ერთგულია. თუმცა რეალობა სრულიად სხვაგვარია. რიო ტინტო წარმოადგენდა კრიტიკისა და სასამართლო დევნის ობიექტს გარემოსათვის მიყენებული ზიანის, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანთა უფლებების, მათ შორის მშრომელთა უფლებების დარღვევის ბრალდებით.

აი, მხოლოდ რამდენიმე მაგალითი რიო ტინტოს „საქმიანობის სიიდან“...

- მოქალაქეთა იძულებითი გამოსახლება, ადგილობრივი მდინარეებისა და წყალსაცავების დაბინძურება, ადამიანთა უფლებების დარღვევა ინდონეზიაში, კელიანის (Kelian) ოქროსმოპოვებელ მაღაროზე.
- ჩინეთის სასამართლომ რიო ტინტოს აღმასრულებელი დირექტორები ბრალდებულად ცნო მექრთამეობაში, კომერციული საიდუმლოების მიტაცებაში და მათ ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

- ეკოლოგიური ზარალი და გარემოს დაბინძურება იუტას, მიჩიგანისა და ვიკინსონის შტატების ამერიკულ მადაროებზე.
- ადგილობრივი თემების საჭიროებების და გარემოს დაცვის ზომების უგულბელებოება ნამიბიაში, მადაგასკარსა და კამერუნში.
- გარემოს მასობრივი განადგურების და ადამიანთა უფლებების სერიოზული დარღვევების ბრალდებები გრასბერგის (Grasberg) მადაროზე, ინდონეზიის დასავლეთ პაპუას პროვინციაში.
- თანამშრომელთა წინააღმდეგ ლოკაუტი კალიფორნიის შტატის ე. ბორონში და კვებეკის პროვინციის ე. ალმაში ბოლო ორ წელიწადში.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას არ შეუძლია უპასუხოდ დატოვოს კომპანია რიო ტინტოს მიერ ესოდენ უგუნურად და დაუფიქრებლად ჩადენილი უსამართლობა. ჩვენ მოვუწოდებთ ოლიმპიურ კომიტეტს დაფიქრდეს ამ ფაქტებზე, მაშინ როცა ჩვენი ქვეყანა ამ კეთილშობილური სპორტული შეჯიბრებისათვის თავის საუკეთესო სპორტსმენებს ამზადებს. მოგიწოდებთ ეს საკითხი წამოწიოთ მოკ-ში და მოთხოვით მას რომ, რიო ტინტოს ადგილი კვარცხლბეკზე არ იყოს, რათა მედლები, რომლებიც ჩვენი ოლომპიელები მიიღებენ წარმოადგენდეს სიამაყის და არა სირცხვილის ჯილდოებს.

ჩვენ სრულად ვუჭერთ მხარს კვებეკელ მადაროელებს და მივიღებთ საჭირო ზომებს, რათა ამ კონფლიქტის უსწრაფესად მოგვარების მისაღწევად მოვახდინოთ ჩვენი სოლოდარობის დემონსტრირება.

პატივისცემით,



ირაკლი პეტრიაშვილი
თავმჯდომარე

ასლები: ICEM, MΦM, USW